ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მრეწველების“
სხდომის ოქმი №1

ქ.ლანჩხუთი 24.01.2019 წელი
12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდა:** ფრაქცია ,,ქართული ოცნება–მრეწველების" თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე. **ფრაქციის წევრები:** ამირან ქანთარია, ზურაბ კუკულავა

**ფრაქციის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ს.კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი ს.კვაჭაძე/

3. სხვადასხვა

**ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**
**მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

**ფრაქციის თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:**

**მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** ფრაქციის თავმჯდომარემ, სპარტაკ კვაჭაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, მედიკამენტების დახმარების პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარს, რომელსაც სარეიტინგო ქულა 65 000- 150 000 აქვს, არ უნდა საჭიროებდეს კომისიური წესით განხილვას.

ფრაქციის წევრის ამირან ქანთარის განცხადებით სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ბენეფიციარი, რომელსაც სარეიტინგო ქულა არ აქვს მინიჭებული გადაუდებელი ოპერაციის შემთხვევაში, მერის თანხმობით ფინანსდება 400 ლარით. ფრაქციის მოსაზრებით, აღნიშნული მერის თანხმობას არ უნდა საჭიროებდეს.

თავმჯდომარემ სპარტაკ კვაჭაძემ  კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.
პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

3. სხვადასხვა:

სხვადასხვაში ფრაქციის წევრებმა დასვეს შემდეგი საკითხები: აუცილებლად მოსაწესრიგებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორია და სოციალურ სამსახურთან მისასვლელი გზა. ფრაქციის თავმჯდომარის სპარტაკ კვაჭაძის განცხადებით დროულად მოსაწესრიგებელია სამუშაო ოთახები, რადგან მუშაობა გაუსაძლისია, წვიმიან ამინდში ისე წვიმს ოთახში როგორც გარეთ. ფრაქციის წევრების განცხადებით ყურადღება აქვს მისაქცევი სოფელში განხორციელებულ პროექტებს რომლებიც სრულყოფილად არ არის გაკეთებული.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“
თავმჯდომარე: სპარტაკ კვაჭაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 იანვარი **2019** წელი
12:**00** საათი

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | სპარტაკ კვაჭაძე | 11 50 | [signature] |
| 2 | ზურაბ კუკულავა | 11 55 | [signature] |
| 3 | ამირან ქანთარია | 12 00 | [signature] |
| 4 | ელისო ჭიჭინაძე | | |